დანართი N2

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
„მუსიკა და დღევანდელობა - მუსიკის ტექნოლოგია“
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნა

პროგრამაზე „მუსიკა და დღევანდელობა - მუსიკის ტექნოლოგია“ აბიტურიენტი ჩაირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებისა და ერთიან ეროვნულ გამოცდებამდე, პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველზე.

კერძოდ, წერითი ფორმატის ტესტით შეფასდება აბიტურიენტის მუსიკალურ-სმენითი უნარები. იგი უნდა ცნობდეს ნოტებს ვიოლინოს და ბანის გასაღებში; ყველა დიდ, პატარა და წმინდა ინტერვალს; გრძლიობებს და პაუზებს (მთელი, ნახევარი, მეოთხედი, მერვერდი, მეთექსვმეტედი); უნდა შეეძლოს მოცემული ნიმუშის ზომის (მარტივი და რთული) განსაზღვრა; იცოდეს სიმფონიური ორკესტრის საკრავთა თითოეულ ჯგუფში რა ინსტრუმენტებია გაერთიანებული. აბიტურიენტს უნდა შეეძლოს შედარებით რთული რიტმული ნახაზის ჩანაწერთან იდენტიფიცირება; სმენით უნდა განასხვავებდეს მაჟორულ და მინორულ კილოს, სხვადასხვა რეგისტრებს.

ტესტი ფასდება ასქულიანი (100) სისტემით; დადებითი შეფასებაა 51-100; (მუშაობის დრო - 1 ასტრონომიული საათი).

მუსიკალურ-სმენითი უნარების შესამოწმებლად აბიტურიენტმა ტესტი უნდა ჩააბაროს კონსერვატორიაში; დადებითი შედეგების მქონე ყველა აბიტურიენტის მონაცემები გაიგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში.